ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №28

10 აგვისტო 2018 წელი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

15:00 სთ

სხდომა ჩატარდა ტრანსპორტის საკითხთა და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისებთან ერთად

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ნინო კვეტენაძე

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური- გიორგი ებანოიძე

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური- დემური კვირიკაშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან არველაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე კომისების წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ დღის წესრიგის პირველ საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების გაიხილვას გააგრძელებს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

დღის წესრიგი

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის,მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ. №12-031821470-03

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის,მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ. №12-031821470-03

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში,რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის,მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ. №12-031821470-03

4. ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მე-4 მ/რ;კორპ.#25-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 6122 კვმ (საკ/კოდი:№01.72.14.004.4873) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ. №12-031814166-03

5. ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მე-4 მ/რ;კორპ.#25-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 11774 კვმ (საკ/კოდი:№01.10.07.004.025) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ. №12-031814166-03

6. ქალაქ თბილისში,ვუკოლ ბერიძის ქ#2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების საკ/კოდები:№01.15.05.061.005.05.501; №01.15.05.061.005.05.502; №01.15.05.061.005.05.504;№01.15.05.061.005.05.505; №01.15.05.061.005.05.507; №01.15.05.061.005.05.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის / მათი წარმომადგენლებისთვის, უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე. №12-031816550-03

7. ქ.თბილისში, მუხიანის მე-4ა მ/რ-ის, კორპ.#10-ში (საკ/კოდი:#01.11.13.007.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-0318207151-03

8. ქ.თბილისში.ო.კაპანაძის №4-ში, კორპ.#1-ში (საკ/კოდი:№01.16.03.058.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-0318207151-03

9. ქალაქ თბილისში, აბანოს ქ#8-ის მიმდებარედ არსებული 10 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.18.04.019.047) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გე-ტე-გე"-სთვის (ს/ნ:405150189) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-0318207151-03

10. ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: №01.18.03.003.025) 94 კვმ მიწის ნაკვეთის გიორგი ალავიძისთვის (პ/ნ 01008014280) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

11. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ:#01.16.05.032.024) 10 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ#01019005452) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

12. ქალაქ თბილისში,დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ №01.16.05.032.024) 46 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გოლდენ ფინგერისთვის" (ს/კ 402079059) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

13. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ: №01.16.05.032.024) 12 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თამარ ბაქრაძე-კაპანაძისთვის (პ/ნ 01030009315) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

14. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ №01.16.05.032.024) 25 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მამუკა დავითაშვილისთვის (პ/ნ:01009001334) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

15. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე #9-25-ის მიმდებარედ 173 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ №01.16.05.032.024) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ სერვის გრუპისთვის" (ს/ნ:404521059) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

16. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ:№01.16.05.032.024) 19 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ასტრალისთვის" (ს/ნ 442733455) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

17. ქალაქ თბილისში,ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ №01.18.03.045.019) 53 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიფლისისთვის“ (ს/ნ:405247488) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

18. ქალაქ თბილისში,ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ №01.18.03.045.019) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარსო 2017-სთვის“ (ს/ნ:404534312) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

19. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ №01.16.05.032.024) 9 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფარადაის“-თვის (ს/ნ:4060216303) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

20. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ №01.16.05.032.024) 23 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „წყალი+“-სთვის (ს/ნ:405174573) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

21. ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ფერდობზე №4-ში მდებარე 2008 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.16.02.007.054) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე. №12-0318207151-03

22. ქალაქ თბილისში,გელოვანის გამზირზე,ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 394 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.10.006.061) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0318215102-03

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის,მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა ნინო კვეტენაძემ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის #18.572.851 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის , მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პროვატიზების თაობაზე

ინტერესთა გამოხატვის ძირითად პირობებს წარმაოდგენს ; აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისთვის უძრავი ქონების პირდაპირი წესით საკუთრებაში გადაცემა, საპრივატიზებო საფასური არის სიმბოლური ფასი 1 ლარი, მიწის ნაკვეთის სავარაუდო ფართობი არის 2250 კვ.მ, ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა 175ერთეული.

საკითხის განხილვა გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების შეკითხვებზე დაწვრილებით განმარტა ნინო კვეტენაძემ და გიორგი ებანოიძემ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ , სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის,მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მიწიწსქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის,ნშენებლობისა და ოპერირების მიძნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის #18.570.853 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის **მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავ**ტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის , მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პროვატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის ძირითად პირობებს წარმაოდგენს ; აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისთვის უძრავი ქონების პირდაპირი წესით საკუთრებაში გადაცემა, საპრივატიზებო საფასური არის სიმბოლური ფასი 1 ლარი, მიწის ნაკვეთის სავარაუდო ფართობი არის 5084 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა 470 ერთეული

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში,რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მიწიწსქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის,ნშენებლობისა და

ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის #18.571.852 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის , მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პროვატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის ძირითად პირობებს წარმოადგენს; აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისთვის უძრავი ქონების პირდაპირი წესით საკუთრებაში გადაცემა, საპრივატიზებო საფასური არის სიმბოლური ფასი 1 ლარი, მიწის ნაკვეთის სავარაუდო ფართობი არის 840 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა 70 ერთეული.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მე-4 მ/რ;კორპ.#25-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 6122 კვმ (საკ/კოდი:№01.72.14.004.4873) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ინტერესთა გამოხატვის მიზანია, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ, გარკვეული პირობებით საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და შემდეგომ საცხოვრებელი ბინების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა. შემდგომში არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საცხოვრებელ ბინებს გადასცემს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს/მათ წარმომადგენლებს/უფლებამონაცვლეებს.

ადგილმდებარეობა: ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი N25-ის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი: N01.72.14.004.483; ფართობი: 6122 კვ.მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი საცხოვრებელი ფართის მინიმალური ოდენობა: **1860 კვ.მ.**

ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირმა უნდა შეიმუშაოს და შეათანხმოს გადაცემული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა და განავითაროს წინამდებარე პირობების

შესაბამისად შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, რომლის სამშენებლო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს K2=3.

მშენებლობის ნებართვის გაცემიდან არაუგვიანეს **24 თვისა: დაასრულოს ,,საცხოვრებელი ბინის"მშენებლობა, მიიღოს ექსპლუატაციაში და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს მუნიციპალიტეტს და განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მოაწყოს მწვანე ინფრასტრუქტურა.**

წინასამშენებლო საბანკო გარანტიის წარდგენის უზრუნველსაყოფად „მთავრობის" სასარგებლოდ წარსადგენი უპირობო და გამოუხმობადი წინასამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობაა **100 000 (ასი ათასი)**ლარი ან მისი ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში, გარანტიის გაცემის დღისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად., ხოლო „იმპლემენტაციის ხელშეკრულებით" განსაზღვრული მშენებლობის ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების (მათ შორის, ,,საცხოვრებელი ბინის" მშენებლობის დასრულების, მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული სამშენებლო ეტაპების (გრაფიკის) შესრულების, ,,საცხოვრებელი ბინის" ექსპლუატაციაში მიღებისა და მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადმოცემის ვალდებულების შესრულების) უზრუნველსაყოფად მთავრობის სასარგებლოდ წარმოსადგენი უპირობო და გამოუხმობადი სამშენებლო საბანკო გარანტიის საწყისი (მინიმალური) ოდენობა განისაზღვრება **ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე დაფიქსირებული, მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი საცხოვრებელი ფართის 1 კვ.მ. X 500 აშშ დოლარის** ეკვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში ან მისი ეკვივალენტი ოდენობა აშშ დოლარში/ევროში, გარანტიის გაცემის დღისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია: განახორციელოს გადაცემულ ტერიტორიაზე მშენებლობის სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და „მთავრობას" წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგს: განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება; საპროექტო ტერიტორიის დეტალური გეოლოგიური კვლევა; ინფორმაცია ,,საცხოვრებელი ბინის" სართულიანობისა და ფართების შესახებ; მშენებლობის განხორციელების დროში გაწერილი, ყოველკვარტალური გეგმა და არსებული კომუნიკაციების დაერთების წერტილები.

მუნიციპალიტეტისათვის **უსასყიდლოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართი** უნდა აკმაყოფილებდეს "თეთრი კარკასის" პირობებს, დამონტაჟებული უნდა იყოს წყლის, ბუნებრივი აირისა და ელ.ენერგიის გარე ქსელებთან მიერთებული ინდივიდუალური მრიცხველები.

ნინო კევეტენაძემ აღნიშნა, რომ ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებულ პირთა მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა „2018 წლის 31 აგვისტო" შესასწორებელია და სთხოვა კომისიის წევრებს შეეტანათ ცვლილება და ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებულ პირთა მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს **„2018 წლის 1 ოქტომბერი"**, რასაც დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ზარქუამ,ლევან დარახველიძემ, ვახტანგ შაქარიშვილმა.

მათ შეკითხვებზე დაწვრილებით განმარტეს ნინო კვეტენაძემ და გიორგი ებანოიძემ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მე-4 მ/რ;კორპ.#25-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 11774 კვმ (საკ/კოდი:№01.10.07.004.025) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.

ნინო კევეტენაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი ანალოგიურია , მხოლოდ ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი საცხოვრებელი ფართის მინიმალური ოდენობაა **3580 კვ.მ.**

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ#2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების საკ/კოდები:№01.15.05.061.005.05.501; №01.15.05.061.005.05.502; №01.15.05.061.005.05.504; №01.15.05.061.005.05.505; №01.15.05.061.005.05.507; №01.15.05.061.005.05.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის / მათი წარმომადგენლებისთვის, უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, ქონების მართვის სააგენტოს მომართა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებმა და ითხოვეს მოცემულ მისამართზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების საკუთრებაში გადაცემა სიმბოლურ ფასად,მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. ეს მოქალაქეები ამავე დროს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ ამ

ფართებს. მუიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 11 ივნისის №18.406.687 განკარგულების შესაბამისად 6 ოჯახს გადაეცემა საერთო ჯამში 564,34 კვმ საცხოვრებელი ფართი.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები ქონდა ირაკლი ზარქუას, რაზედაც განმარტა ნინო კვეტენაძემ.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, მუხიანის მე-4ა მ/რ-ის, კორპ.#10-ში (საკ/კოდი:#01.11.13.007.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი - ნინო კვეტენაძე

აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად გადაეცემა 6 მოქალაქეს ჯამში 371,35 კვმ. ეს მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ ამ ფართებს.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:ქ.თბილისში.ო.კაპანაძის №4-ში, კორპ.#1-ში (საკ/კოდი:№01.16.03.058.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, 10 ოჯახს პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად გადაეცემა 10 ერთეული ფართი,საერთო რაოდენობით 753,28 კვმ. შსს ინფორმაციით ეს ოჯახები 2005 წლიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. ჩიღურეთის გამგეობამ უშუამდგომლა 11 პირს, მაგრამ 1 მოქალაქის ოჯახის წევრები მეუღლე და შვილი არიან იძულებით გადაადგილებული პირები. გამგეობამ ინფორმაციის მოძიების მიზნით წერილობით მიმართა ლტოლვილთა სამინისტროს და მთავრობის პროექტის მომზადებისას სამინისტროდან გამგეობის წერილზე არ იყო დაბრუნებული პასუხი. გამომდინარე აქედან ამ პიროვნებაზე ფართის გადაცემა არ მოხდა.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, აბანოს ქ#8-ის მიმდებარედ არსებული 10 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.18.04.019.047) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გე-ტე-გე"-სთვის (ს/ნ:405150189) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით , კომპანია აბანოს ქ.#8-ში მდებარე ფართს ფლობს იჯარით 2021 წლის 5 აპრილამდე. მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი გადაეცემა ღია კაფეს მოსაწყობად 2021 წლის 5 აპრილამდე ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირაა 2400 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: №01.18.03.003.025) 94 კვმ მიწის ნაკვეთის გიორგი ალავიძისთვის (პ/ნ 01008014280) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

კომპანიას აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცემა ღია კაფეს მოსაწყობად 5 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირაა 5700 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტრიტორიიდან (ს/ნ:#01.16.05.032.024) 10 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ#01019005452) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი ახალშენიშვილს 10 კვმ მიწის ნაკვეთი გადაეცემა იჯარით ღია კაფეს მოსაწყობად 5 წლის ვადით,წლიური საიჯარო ქირაა 1800 ლარი. მოქალაქეს მიმდებარედ საკუთრებაში აქვს ქონება.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ №01.16.05.032.024) 46 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის

წესით შპს „გოლდენ ფინგერისთვის“ (ს/კ 402079059) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს „გოლდენ ფინგერისთვის“ იჯარით გადაეცემა 46 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად . წლიური საიჯარო ქირაა 8300 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ: №01.16.05.032.024) 12 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თამარ ბაქრაძე-კაპანაძისთვის (პ/ნ 01030009315) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

12 კვმ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა თამარ ბაქრაძე-კაპანაძეს, ღია კაფეს მოსაწყობად 5 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირაა 2200 ლარი. მოქალაქეს მიმდებარედ საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ №01.16.05.032.024) 25 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მამუკა დავითაშვილისთვის (პ/ნ:01009001334) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მამუკა დავითაშვილს იჯარით გადაეცემა 25 კვმ მიწის ნაკვეთი(ს/კ 01 .16.05.032.024) ღია კაფეს მოსაწყობად 5 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირაა 4500 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე #9-25-ის მიმდებარედ 173 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ №01.16.05.032.024) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ სერვის გრუპისთვის“ (ს/ნ:404521059) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს 'ნიუ სერვის გრუპს" იჯარით გადაეცემა 20 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად 2021 წლის 18 ოქტომბრამდე. წლიური საიჯარო ქირაა 3600 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ:№01.16.05.032.024) 19 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ასტრალისთვის" (ს/ნ 442733455) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს „ასტრალს" იჯარით გადაეცემა 19 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად 2019 წლის 8 მარტამდე. წლიური საიჯარო ქირაა 3500 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ №01.18.03.045.019) 53 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიფლისისთვის" (ს/ნ:405247488) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, შპს „ტიფლისს" იჯარით გადაეცემა 53 კვმ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად 5 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირაა 12800 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ №01.18.03.045.019) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარსო 2017-სთვის" (ს/ნ:404534312) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს „მარსო 2017-ს" იჯარით გადაეცემა 20 კვმ მიწის ნაკვეთი ღიაკაფეს მოსაწყობად 5 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირაა 4800 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ №01.16.05.032.024) 9 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფარადაის"-თვის (ს/ნ:4060216303) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს „ფარადაის" იჯარით გადაეცემა 9 კვმ მიწის ნაკვეთი 2022 წლის 25 ივლისამდე ვადით, ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 1700 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ №01.16.05.032.024) 23 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „წყალი+"-სთვის (ს/ნ:405174573) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, შპს „წყალი+"-ს იჯარით გადაეცემა 23 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად 2022 წლის 1 ივლისამდე ვადით, მხოლოდ ტენტისა და საყვავილე ქოთნების განლაგების გარეშე. წლიური საიჯარო ქირაა 4200 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ფერდობზე №4-ში მდებარე 2008 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.16.02.007.054) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ 2008 კვმ მიწის ნაკვეთი გადაეცემა საპატრიარქოს სიმბოლურ ფასად 1 ლარად შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,გელოვანის გამზირზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 394 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.10.006.061) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერია განიხილავს მარშალ გელოვანის და სარაჯიშვილის ქუჩის კვეთაზე სატრანსპორტო კვაბძის მოწყობის საკითხს. ობიექტის მშენებლობის არეალში მოხვდა კერძო საკუთრებაში არსებული (სალ/კოდი: 01.10.10.006.012) უძრავი ქონება, რაც ხელისშემშლელი გარემოებაა საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში.გამომდინარე აქედან შედგა მოლაპარაკება უძრავი ქონების მეპატრონეებთან მიწის ნაკვეთების გაცვლასთან დაკავშირებით. მოლაპარაკების ფარგლებში უძრავი ქონების თანამესაკუთრეებისათვის გადასაცემად შეირჩა 394 კვმ მიწის ნაკვეთი გელოვანის გამზირზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ. გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საბაზრო ღირებულებებით. 394 კვმ მიწის ნაკვეთი შეფასდა 165480 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში, ხოლო თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.10.10.006.012) 427 065 აშშ დოლარით. ს/კ 01.10.10.006.012 გადაეცა მუნიციპალიტეტს, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა განაწილდა თანამესაკუთრეებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ზარქუა